ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის "სკოლამდელ სააღმზრდელო
დაწესებულებათა მართვის ცენტრი"
G E O R G I A
PRIVATE LAW NON-PROFIT (NON-COMMERCIAL) LEGAL ENTITY ZUGDIDI
MUNICIPALITY "PRESCHOOL NURSING MANAGEMENT CENTER"
საიდენტიფიკაციო ნომერი: 420427023

ბრძანება:**ბ73. 24231792**
თარიღი:**28/06/2023**

ა.ა.ი.პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო

დაწესებულებათა მართვის ცენტრი"ს დაქვემდებარებაში მყოფ ს/ბაღებში 2023-2024 სასწავლო წლისათვის ბავშვთა მიღებასთან დაკავშირებით ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, სსდ მართვის ცენტრის წესდების მე-4 მუხლის ,,თ" პუნქტის, ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-ს დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის / აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის შესახებ" მ/ცენტრის დირექტორის 18.02.2022 წლის #73.242211381 ბრძანების მე-3-4-5 მუხლების შესაბამისად

ვბრძანებ:

1. ა.ა.ი.პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-ს დაქვემდებარებაში მყოფ ს/ბაღებში 2023-2024 სასწავლო-წლისათვის ბავშვთა მიღების მსურველთა რეგისტრაცია გაგრძელდება ელექტრონული ფორმით, ცენტრის ვებ.გვერდთან არსებულ პლატფორმაზე.

2. რეგისტრაცია დაიწყება 2023 წლის 17 ივლისს და წარიმართება 2 -ეტაპად.

პირველი ეტაპი: 2023 წლის 17 ივლისიდან 2023 წლის 29 ივლისის ჩათვლით.

მეორე ეტაპი: 2023 წლის 02 აგვისტოდან 2023 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

3. პირველ ეტაპზე რეგისტრაციის უპირატესობით სარგებლობენ:

ა)ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 100000-ზე ქვევით სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის ბავშვები (სოციალურად დაუცველები);

ბ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ოჯახის ბავშვები;

გ) იმ ოჯახის ბავშვები, რომელთა შვილი (შვილები) სარგებლობენ იმავე სკოლამდელი დაწესებულების მომსახურებით;

დ) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე მშობლების შვილები;

ე) ,,მარჩენალდაკარგული" სტატუსის მქონე ბავშვები;

ვ) იძულებით გადაადგილებული პირები;

მეორე ეტაპზე სხვა დანარჩენი

5. სახელმწიფო სტანდარტებისა და თითოეულ ს/ბაღში ფაქტიურად არსებული ინფრასტრუქტურული პირობების გათვალისწინებით, 2-დან 3-წლამდე ასაკის ბავშვთა რეგისტრაციისა და ჩარიცხისათვის დაწესებულია განსხვავებული წესი: რეგისტრაცია და ჩარიცხვა მოხდება შემდეგ სკოლამდელ დაწესებულებებში (ს/ბაღებში): ა) #1 ს/ბაღი; ბ) #2 ს/ბაღი; გ)#12 ს/ბაღი ; დ)#13 ს/ბაღი; ე)#16 ს/ბაღი; ვ) სოფ.ახალკახათის ს/ბაღი; ზ) სოფ.ჯუმის ს/ბაღი; თ) სოფ.დარჩელის #1ს/ბაღი; ე) სოფ.ანაკლიის ს/ბაღი.

6. ელექტრონული რეგისტრაცია იწარმოებს რეგისტრაციის გამოცხადების შემდგომ უწყვეტად ვაკანტური ადგილების შევსებამდე.

7. ელექტრონული რეგისტრაციის მეშვეობით ვაკანტური ადგილების შევსების შემდეგ, პორტალზე იქმნება ელექტრონული რეზერვი, სადაც ბავშვის რეგისტრაცია სასურველი ბაღის მიხედვით ხდება მშობლის განცხადების საფუძველზე.

8. ელექტრონული რეზერვიდან რეგისტრაცია წარიმართება უწყვეტად, ვაკანტური ადგილის გაჩენის შემთხვევაში, რეზერვის ამოწურვამდე.

9. დაევალოს სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რეგისტრაციის დაწყებამდე მოსამზადებელი ღონისძიებების გატარების მიზნით, უზრუნველყონ აღსაზრდელთა შესაბამის ჯგუფებში გადანაწილება, რისთვისაც მ/ცენტრში წარმოადგინონ შესაბამისი დოკუმენტაცია:

ა) სკოლაში წამსვლელ აღსაზრდელთა მონაცემები;

ბ) ავადმყოფობის თუ სხვა ობიექტური მიზეზით ერთი წლით აღსაზრდელის ბაღში დატოვების (ან მიღების) შესახებ შესაბამისი დოკუმენტაცია მ/ცენტრში განსახილველად (სამედიცინო დასკვნა ექვს წელზე ზევით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სარგებლობის საჭიროების შესახებ)

10. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციულ განყოფილებას უზრუნველყოს ელექტრონული პლატფორმის გამართულობა, აღსაზრდელთა რეგისტრაციისა და მიღების პროცესის ორგანიზება ცენტრის დირექტორის #73.242211381 ბრძანებით მიღებული წესისა და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად.

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის:ქ.ზუგდიდი,რევაზ ლაღიძის ქ. №12).

ხათუნა თოლორაია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ
სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი-
დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი